ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 82
(საქონლის შესყიდვა)

ქალაქი ფოთი **,,03"** მაისი 2019 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები
1.1 ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (შემდეგში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გოჩა კურდღელიას სახით და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე (შემდეგში ,,მიმწოდებელი“) გიორგი ნოდიას სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება").

2. ხელშეკრულების საგანი
2.1 **შესყიდვის ობიექტის დასახელება**: საპატიო მოქალაქეებისათვის ფასიანი საჩუქრების შესყიდვა (დანართი N 1-ის შესაბამისად).
2.2 **შესყიდვის საშუალება**: გამარტივებული შესყიდვა;
2.3 **შესყიდვის კატეგორია:** 18500000 - სამკაულები, საათები და მონათესავე ნივთები,
კლასიფიკატორის (CPV) კოდი: 22450000- ნაბეჭდი მასალა დამცავი შრეებით

3. **ხელშეკრულების ღირებულება**
3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 440,00 (ოთხასორმოცი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
3.2 სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

4. **საქონლის მიწოდების ვადა, ფორმა და ადგილი**
4.1 საქონლის მიწოდების ვადა**:** ხელშეკრულების დადებიდან 2019 წლის 13 მაისის ჩათვლით.
4.2 საქონლის მიწოდების ფორმა: მიმწოდებელი ვალდებულია მოაწოდოს საქონელი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი წესების დაცვით.
4.3 საქონლის მიწოდების ადგილი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 12.

5. ანგარიშსწორების პირობები და ვადები
5.1. წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება.
5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიხედვით, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) გამოწერისა და გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მიღება - ჩაბარების პირობები
6.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი, რომელიც ხელს აწერს ქალაქ ფოთის მუნციპალიტეტის სახელით დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებსა და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
6.2 სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტებზე, ხელს აწერს, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
6.3 საქონელი ჩაითვლება მოწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
77.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**
7.1.1 მოსაწოდებელი ან/და მოწოდებული საქონლის რაოდენობის, ხარისხისა და მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი ირმა გუგუშვილი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1 უზრუნველყოს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.2.2 წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
7.3,1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
7.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა
9.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
9.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით;
9.3 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) პირგასამტეხლო განისაზღვრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;
9.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
9.5 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 3%-ის ოდენობით.
9.6 თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, ამ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ, საჯარიმო თანხის გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 20 ივნისის ჩათვლით.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2 მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის წერილობითი ურთიერთობა ხორციელდება, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, მათ შორის, მხარეთა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი ს/კ 215138143 მის: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №12	**ინდივიდუალური მეწარმე** გიორგი ნოდია ს/კ 42001002352 მის: ქალაქი ფოთი, 9 აპრილის ხეივანის № 9/5 სს „საქართველოს ბანკი", BAGAGE22, GE46BG0000000143000001.
Gocha Kurdgelia Digitally signed by Gocha Kurdgelia Date: 2019.05.03 21:18:21 +04'00'	
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი **გოჩა კურდღელია**	ინდივიდუალური მეწარმე **გიორგი ნოდია**

დანართი N 1

საპატიო მოქალაქეებისათვის ფასიანი საჩუქრების შესყიდვა

ფასების ცხრილი

N	შესყიდვის კატეგორია	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	22450000	საპატიო მოქალაქის სიგელი (ანოდირებული ლითონის ფირფიტა დაკრული ხის აბრაზე A4 ფორმატის, ზომით 21X30 სმ, შესაბამისი გაფორმებითა და წარწერებით)	8	50	400
2	18500000	სასაჩუქრე მუყაოს ჩანთა (წარწერით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, ფოთის გერბით, 350 გრამიანი ბრისტოლის მასალით)	8	5	40
		სულ ღირებულება			**440 ლარი**

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქი ფოთი

„03" მაისი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია ვადასტურებ, რომ ინდივიდუალურ მეწარმე გიორგი ნოდიასთან არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გოჩა კურდღელია

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქი ფოთი „03" მაისი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი ირმა გუგუშვილი, ვადასტურებ, რომ ინდივიდუალურ მეწარმე გიორგი ნოდიასთან არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში და ჩემი მონაწილეობა საპატიო მოქალაქეებისათვის საჩუქრების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში (ხელშეკრულების შესრულების კონტროლი) არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი **ირმა გუგუშვილი**